ორი დღის უკან კინაღამ გული გამიხეთქა შიშით: ჩემ წინ ჩაყვინთა წყალში და სასწრაფოდ ჩაიძირა, დიდხანს ვუყურე, მაგრამ იგი ვერ დაეინახე, უეცრად ტანში გამაეროლა და ვეღვირე:

— ჯოლია...ა.

მდინარის ტალღებში არავინ ჩანდა ბიჭები დაფაცურდენ, კარგმა მყვინთაებმა ძებნა სცადეს, მაგრამ ამაოდ.

მაშინ კი ვეკადრეთ გაქცევა, წისქვილში შევირბინეთ და შეწისქვილე დავაფაცურეთ, მაგრამ სანამ ის ტანზე გაიხდიდა, ტირიფებ ქვემოდან ჯოლია გამოძვრა.

იმ დღესაც ჯოლია ჩვეულებრივ ყვინთავდა. მე კი წისქვილიდან ვადმოხტომა მოვისურვე, ფრთხილად ავბობდდი, ღირებე შევედგით და ვადმოხტომა დავაპირე, ვერ გავებდე, შევეშინდი და წისქვილის კედელს მივეყრდენე; ფარალალა კედლებს იქეთ, მტკრიანი ტომრები მოსჩანდა, წისქვილის კაქუნში, ლაპარაკიც ისმოდა.

ხელახლა დავაპირე ვადმოხტომა, ისევე შევ-
დექი — ვადმოხტი შე, ძაბუნო! — ყვიროდა
ქვევიდან ჯოლია.

ისევ ვცადე, მაგრამ ამაოდ. მაშინ კედელს
გამოვყვივე ფრთხილად და ჩამოსვლა დავაპირე,
რომ წისქვილიდან ლაპარაკი შემომესმა: — რო-
გორ ვგონათ, დედას უტირებ, კლდეტვილიდან
გამომირცხეს, ხალხში თავი მომიჭრეს... ქურდიო..

წისქვილის მომეტებულ ხმაურში კარგად
ვერ გავარკვეე, მეწისქვილის პასუხი სრულებით
არ ისმოდა, ძლიერ დავინტერესდი. კედელს
ავეკარი და მთლილ სმენათ ვადაეიქეცი:

— გუშინ ვავიგე, ამ დილით ქალაქში
წავიდოდნენ, საკოლმეურნეო ბაზრობა იწყება
ხვლიდან, მებორნე მოვიყიდ, ნავენს ძირი
გამოვხერხებ... საცობებით გვაქვს ოდნავად
დამაგრებული, დღეს იქ რომ გაივლიან, ბორანი
შუა წყალში ჩაიძირება და მაშინ ნახონ, ზარალი
არაფერია, ცოცხალი თუ ვადარჩენ ისიც შიშა-
დლონ...

ლაპარაკი ბრაზიანი ხელებით შეწყდა.
შემდეგ ხმის დაუწია და ვერაფერი ვავიგონე.
ხმა შევიცანი გიორგი „ტურა“ იყო, კოლმე-
ურნეებმა ეშმაკობისთვის შეარქვეს ეს სახელი.
ახირებული — უხნეო კაცია, იარაღებს იპარავდა,
ბრამაკობდა და ახლა ვაფხვებულზე ვარიცხეს
კოლმეურნეობიდან.

მეფის დროს ყაჩაღების დაცემისას სოფლად
ქუდიდან შემლილა. შემდეგ მოკეთებული მაგრამ
ხშირად ირეოდა ხოლმე.

ყური ისევ მივუგდე, არაფერი ისმოდა, მაგ-
რამ ყოველივე აშკარა იყო, ცუდი რამე განმა
ზრახა ოხერ აღმიანს. წამსვე მოვხტარხტარდა
ფეხი დავკარი დირეს და მდინარეში სრულიად
უშინოდ ტყავანი მოვიდინე. ნაპირთან გავცურე
და ტანზე ჩაქვისას ჯოლიას ჩავძახე:

— ნახირს, ყური უგდე, მე მამჩემს უნდა
დავეწიო, ახლა გამახსენდა, დედამ საჭირო რამე
დამაბარა!

რომ დავიდარაბა არ ამეტება ვიცრუე და
ჩრდილქვეშ მობალაზე ცხენს ქაშარი ამოვდე
ლაგამით, მოვხტი და ჯოლიას შეკითხვებს
და ძახილს ყური არ ვათხოვე, პირდაპირ გავე-
მართე ცხენის წყლის მიმართულებით.

გაოფლიანებულ ცხენს დაუზოგავად მივა-
ქნებდი სიმინდის ყანების გასწვრივ და შარაზე
მტვერის ბული მრჩებოდა უკან. ერთ საათზე
მეტი ვავიდა.

თაკარა სიცხე მაქერდა, ერთობ მოვიქანცე,
დიდიხანა გამონდა ცხენისწყალი, ოფლი სა-
ხეზე მომწურწურებდა; მებორნეს კარავთან,
შევდექი, ჩვენები ურჩებთან იდგენ, ბორანი
გალმა ნაპირიდან მოიშართებოდა.

— ბიჭო, შენ აქ რა გინდა?! ნახირი მია-
ტოვე?... — გავკვირებით მკითხა პავლე თავმჯდო-
მარემ!

— იცით ბიძა პავლე... მამა...
და ქოშინ-ქოშინით ვუაშბე სულმოუთქმე-
ლად გიორგი „ტურას“ ნამოქმედარი.

მალე ბორანიც მოადგა ნაპირს და მებორ-
ნემ შუახნის შევწვერულეაშა, ფეხებ და მკლა-
ვებ დაკაიწებულმა კაცმა დაიძახა:


— ე, ხალხო, მოიყვანეთ ურჩები, ხომ არ
დაგეძინათ!

მამა და პავლე ბორანზე ავიდნენ, მეც ავე-
დგენე, მებორნე რალაც აირია და უხერხულად
იწყო წრიალი.

ნავენში მართლა იყო ამონაჭერი იდგილები
საცობებით დაკული, რის გამო ნახევრად
წყალი იდგა მათში.

მაშინ პავლემ რალაც ანიშნა მამას და
წარბაღრილმა სრულიად მოულოდნელად ხა-
ლათის ქვემოდა შევად მოვღვარე რევოლვერი
ამოიღო და მებორნეს შესძახა:





— ეს რაა, შევარცხინე უშენი კაცობა ფილიმონ, მტერს მტრულად უნდა მოქცევა, აწი ჩვენ ვიცით! და ურმებისაკენ მიუთითო ხელით. მეზორნე უხმოდ გაღმოვიდა ნაპირზე შავწვერულვაშა კაცი გაბევებული იდგა ურცხთან. შუადღის თაკარა სიცხე უტერდა ცხენისწყალი ღმურადა, კირგეულობდა და

ზათქითა და ხმაურით მიემართებოდა ტრიად მინდვრებზე.

მესამე დღეს მეზორნეთ ცხენისწყალზე კოლმეურნე პეტრე კიორე მუშაობდა.. და ნაპირთან მდგარი კარავიც მან ჩაიბარა.

მე კი ფერადოვანი წიგნებით დამსაჩუქრეს! ღაფ. ზამთაძა

ძუნწი მიმი

— ო, რომ იცოდეთ ბავშვებო, რა ავია და რა ძუნწი ბებუკაემის ფინია ძალი პაწია მიმი, — ეუბნებოდა დალი თავის ამხანაგ ოქტომბრელს.

— იგი სულ თერთია, ხოლო ყურებთან და თვალებთან წაბლისფერი. თუ ჰკამის დროს ვინმე ვარემ შემოვიდა ოთახში, მიმი მაშინვე მივარდება ყვეფით, თითქო საყვედურობს: „აბა რად შემოხვედი, ხომ ხედავსადილობო!“ ამავე დროს ეს ძუნწი არსება ცდილობს გადამალოს თავისი უღლვა ძვლები, რომ სტუმარმა, მეტადრე კი ბავშვებმა არ წაიღონო. ერთი მითხარით, გეთაქვა! აბა ვის რად უნდა მიმის გამოხრული ძვლები.

ბავშვებს სიცილი აუტყდათ.

— ეს კიდევ რა არის, ბავშვებო! თუ ჰამზე შემოსწრებული პირი მიიწვიეს სუფრახზე

და მიაწოდეს რამეები, რაც ჩვილებრივ ხდება ხოლმე, მიმი წამოსკუპდება ტახტზე ბაბუკას გვერდით, ფრიად გულნაწყენი ხენეშის და ბუზუნებს, თანაც პირში უცქერის სტუმარს.

გათავდა საუზმე თუ სადილი. სტუმრები არ მიდიან, სხედან და საუბრობენ. მიმი კი წუბს და შფოთავს. ის ხან ბაბუკას მიჩრებია, ხან სტუმრებს, სურს მალე წავიდენ. ბოლოს ეკარგება მოთინება, ჩამოხტება ტახტიდან, დგება უკანა ფეხებზე. ხტუნვა-ხტუნვითა და წინა თათების ქნევით მიდის სტუმართან, აჩენებს ტუჩით ვასავალ კარებს და ამ უცნაური მიმიკით თითქოს ეუბნება: „გეყოფათ ამდენი პატივისცემა, აწი მიბრძანდით, ჩვენ მოსვენება გვინდაო“.

ასეთ ოჩენებს ეს ძუნწი მიმი სჩადის მეტადრე საღამოს მოსული სტუმრების მიმართ: თუ ვინიცობაა გადაცილეს წასვლა ღამის თერთ-

მეტ საათს. სტუმრებს უყვართ ამ ტუნწი ჭინაის ასეთი უცნაური მოკმელება, თათების ქნევა და გასავალი კარებისკენ ტუჩის შვერა. ზოგს არ ესმის მისი უცნაური საქციელის და კითხულობენ, რა სურს ამ ფინაისო, ჩვენ კი ვიცინით, თანაც ვტუქსავთ მიმის, ვეუბნებით: „არა გრცხვენია, რომ ერგები სტუმრებსო“. მაშინ კი ხედებიან სტუმრები რაშია საქმე და იცინიან. ზოგიც უწონებს ფინაის ასეთ ოინს და ეუბნები: „მართალი ხარო“. „ახლა დროა კიდევ შინ წასვლისაო“.

დგებიან, გვეწმოდობებიან და მიდიან შინ. მიმის სიხარულს არ აქვს საზღვარი, წამსვლელთ ხტუნვა-ხტუნვით და წინა თათების ქნევით აკილებს კარებამდის.

ბავშვები კისკისებენ.

— დალი, მართალია ეს ამბავი? — ეკითხება გენო.

— სრული სიმართლეა გეფიცებით ბავშვებო! მეტად ხშირად ვხედავ ჩემი საკუთარი თვალით.

— ნეტავ ვინ ასწავლა მიმის ასეთი ოინები? — შეეკითხა დინა.

— აბა ვინ ასწავლიდა! არავინ. თავისთავად მოიგონა. განა მარტო ეგ იცის! ო, რომ იცოდეთ, ბავშვებო, რარიგად ცეკვავს! რომ განახათ, ბევრს იცინებთ. ბაბუკა რომ ეტყვის: „ტაში, მიმიკა ტაში მიმიკა!“ დაუკრავს ტაშს და სხვებიც აყვებით ტაშით, მიმი მაშინვე გადმოხტება ტახტიდან, დადგება უკანა ფეხებზე, გაშლის წინა თათებს და დაუდღის, მეტადრე მასთან ერთად თუ ვინმე ცეკვავს, ან მე და ან ჩემი დედიკო. მიმი ეშმაკუნამ კარგად იცის, რომ ცეკვის შემდეგ მიიღებს საჩუქარს, თხილს ან კამფეტს. თხილი, ჩურჩხელა და მეტადრე კამფეტი ძალიან უყვარს ჩვენს მიმის. მაგრამ ყველაზე უფრო უყვარს ხორცია და ძვლები! ამ დროს მიმი დაწვება კუთხეში თავის ბალიშზე და ხრავს ძვლებს.

სმენად ქცეული ბავშვები დალის შესტეპროდენ.

— ერთი ეს გვითხარი, დალი, ვინ ასწავლა მიმის ცეკვა? — შეეკითხნ ბავშვები.

— ვინა და ჩემმა დედიკომ. მიმი ჩემზე ხნიერია ორი წლით მინც. ის ახლა ათი

წლისაა, შვილები და შვილის შვილების ბატონი. მისი შვილები ყველა განუკლებულია. ერთი დეიდა ნათელას, ისეთი ლამაზი და ძალიან ძალღების გამოფენაზე ტფილისში მიიღო ჯილდო, ოკროს მედალი და კიდევ სხვა საჩუქრები. აღმა მიმიზე უფრო პატარაა. მისი პაწია ტანი, კული, დიდრონი ყურები გრძელი აბრუშეული ბეწვითაა შემოსილი. ის თავის პაწაწინა სახეს ამკობს შავი ბრიალა თვალებით. კეკიანია, მაგრამ მეტად ანახლია. სტულს ცელქი ბავშვები.

— ერთი ეს მოთხარი, აღმამაც იცის ცეკვა? — შეეკითხა შალიკო.

— არა, ცეკვა იცის მხოლოდ მიმიმ, მაგრამ მოხუცდა და იმდენად აღარ იწუხებს თავს. მიმი, როგორც სხვა ძაღლები, პატრონის ერთგულია, მოყვარული და ბინის გუშავი. არც წაწკია, მაგრამ წუნიაა. უბრალო პურს არ გეახლებათ, ხშირად არც რძესაც, იგი ეტანება ხორცსა და დაშპარულ ბუღლებს, მეტად გასათუთებული ყავს ჩემს ბაბუკას, ხშირად ბანს და ლოგინშიც კი იწვენს, ისე უყვარს. მაგრამ ფრთხილად ბავშვებო! ბაბუკაჩემს ხელს ვერაფერ დააკარებს, მიმი იქვე გაჩნდება და არ დაზოგავს არვის საკბენად, თვით ჩემს პაპასაც კი, რომელიც მეტად უყვარს.

— კიდევ რა იცის მიმიმ? — შეეკითხა რეზო.

— მიმ იცის თავგებისა და ვირთხების ჭერა. როგორც კი იცნოსავს თავის სუნს, მიირბენს იმ ალაგას კულის ქნევით და იძენ ხანს უღარაჯებს, სანამ არ გამოვა თავგი. მიმი ელვის სისწრაფით სტაცებს პირსა და მოკლავს, შემდეგ ზოლით აფურთხებს ადამიანივით. მან კარგათ იცის, რომ თავგი მვენე ცხოველია, ამიტომაც ემტრება. მიმი ემტრება აგრეთვე ბუზებს და პეპლებს. საქმარისია უთხრა: „ჰა, მიმი, ბუზი, ბუზი,“ მიმი მივიარდება სარკმელს, იქიდან სწრაფად მივიარდება ბუზს ან პეპელას, დაიჭერს და მოკლავს, მერე ფურთხებას დაუწყებს.

— კიდევ რა ძულს მიმის? — შეეკითხა ზაირა.

— ჰო, მართლა! მიმის მეტად ძულს ფოსტისა და გავითის დამტარებელნი. როგორც კი

გაიგონებს მით კაკუნს კარებზე, მიმი მაშინვე გაქანდება ყეფით, თანაც გვანიშნებს: ჩქარა გამიშვით გარეთ, უნდა ვუკბინოა. ხოლო თუ ვინმე შინაურმა ან მოკეთემ დააკაუნა კარზე, მიმი გაიქცევა მაშინვე, დასუნავს, თითქოს მიხვდება რომ მოკეთეა, დაიწყებს კულის ქიცინს, შემდეგ მოიბრუნს ჩვენთან და გვანიშნებს: შინაურია, მოკეთეა, გაუღეთ მაღე კარიო. ასეთია ჩვენი ძუნწი მიმი. მას ძულს აგრეთვე ცელქი ბავშვები, ხოლო პაწია, ძუძუთა ბავშვები უყვარს მეტად. მოიყვანებენ თუ არა ბაბუკასთან ასეთ ბავშვს, მიმი მივალერსება ლაქუცით, გადავლაკება ბავშვს ფეხებთან და გამოყოფს ენას, თანაც გვანიშნებს თვალებით: „მომეკით ამ პაწია ბავშვის თათები, დაეუკონია“, — მართლაც დაუკონის კიდეც თუ მიეცი ბავშვის ხელი.

— ო, რა უცნაური ყოფილა ეგ მიმი! — წამოიძახებს ბავშვებმა.

— დიახ, ასეთია ჩვენი მიმი. მას ერთი ახირებული ზნე ჰქონს: მეტად ძულს ტანის და-

ბანა. განსაკუთრებით კი როცა უბრალოდ ჰქონს. საკმარისია გაახმაურო ტაშტი, რომელიც შიგნით მიმის, ან ნელი ხმით მიმის ტანი დაებანათო, რომ, რა გინდ უყვარდე, მაშინვე დაგიწყებს ღრენას, შემდეგ წუწუნს და ხეწუნას შესაბრალოსი ხმით, თითქოს გეუბნება: მომშორდი, თავი დამანებეო. თუ ესეც არ გაუვიდა, და მიეძაღე, მაშინ კი აღარ დაგზოვავს, მოგვარდება საკბენად, ან ეცდება დამალოს საიმედო ალაგას, თუ ბაბუკას შეხვდა მაშინვე შეეხიზნება კალთის ქვეშ. ბაბუკას კამის ქვეშ მიმი გულაღია და გამბედავი.

ბავშვებს აუტყდათ კიდეც სიცილი, ხარხარი და თხოვდენ დალის ეთქვა რამ მიმიზე.

— ახლა ეს ვიკმაროთ, ბავშვებო. ის იყო თურმე ინგლისური ჯიშის, ჯეკა ერქვა, — ამ სიტყვებით ექრიალა დალიმ ჩაჰვიდა ხელი თავის ტოლებს და გაექანა ბალისკენ სათამაშოდ.

სიმონ ქვარიანი.

უარსზე უარსი

(მზავი)

სარზე ცხენის თავი ეკიდა. ერთხელ ისუროვა: „ამის უარესს ნურას შევსწრებოდლო?“
 იქვე ახლოს გლეხი მუშაობდა, ნაგავსა სწვავდა, გაიგონა ეს სიტყვები ცხენის ხმელი თავისა და გაკვირვებულმა თქვა: „ამაზე უარესი რაღა უნდა დაემართოსო?“

ამ დროს ტარმა წამოუბერა, ცხენის თავი ძირს ჩამოავდო. კიდე წამოუბერა და ახლა შიგ ცეცხლში ჩაავგო. ხმელ ძვალს ცეცხლი მოედო და სულ დაიწვა, დაიფერფლა.

დაინახა ეს კაცმა და თქვა: „უარესი აი ახლა დაემართაო!“

ბ. ლომთათიძე

ყრუსთან საუბარი

(მზავი)

ერთი კაცი გზაზე მიდიოდა. ყრუ შემოგყარა. სალამი მისცა:
 — გამარჯობა შენო!
 — ბაზარში ვიყავიო.— მიიღო პასუხად.
 მეზარმა გაიკვირვა და შეეკითხა:
 — შენ ყრუ ხომ არ ხარო?
 ყრუმ უპასუხა:

— ქათამი ვიყიდლო.
 პირველმა იფიქრა: ამასთან საუბარი არა ჰღირსო და ისევ გაკლა არჩია. უთხრა:
 — მშვილობით ბრძანდებოდლო!
 — სამი აბაზი მივეცო.— მიუღო ყრუმ.

ბ. ლომთათიძე



საქართველოს ხალხური მუსიკა

1

ბებია მაიკო ჭაქანით შემოყვამ ვენახს.

— ჰაუ, ჰაუ, ჰაუ... ქშშში! არ გაგიშვით ძერამ, — იძახდა და თან ფხვიერ მიწას უსროდა ღელის პირას გამწვანებულ ვენახში შესულ შაშვეებს და ყარანა ჩიტებს.

დილა იყო ცვრიანი, წყნარი და სურნელოვანი. შუგე ჯერ კიდევ არ ეკრა ბჟაალი. ცის შორეულ ლაქვარდში მფრინავი წიფობღელები შავ წერტილებად ჩანდნენ. შაშვეებს, როგორც ჩანდა ძლიერ ეძნელებოდათ მწიფე, ცვრიანი ალგჟსანდროულის დატოვება. ყოველ „ჰაუ-ჰაუს“ დაძახილზე ერთი მაკრად დაიქახჭახებდნენ და წაბლნარ ტყეს მიაშურებდნენ, ღელეს იქით რომ იწყებოდა.

— ჰაუ! ჰაუ! ჰაუ! — აღარ ისვენებდა მაიკო. ღლია ჯვახის ლორთქო ბარდებით გაეტენა, ხელში ჩიტებისაგან ნაკენკი ყურძნის მტევნები ეჭირა და ასე დატვირთულმა ამოყო თავი ვენახიდან. წინ შეილიშვილი, პატარა თამაზი მიეგება.

— შენმა „ჰაუ-ჰაუმ“ გამომადივსა, ბებო, ამ დილით. მოდი ჩქარა, ბიცოლა გაიანე გიცდის.

2

გაიანე და მაიკო დერეფნის წინ შეხედნენ ერთმანეთს.

— დილაშვილობისა მაიკო! უტამიათ ქალო, ყურძენი არა?

— სულ ერთიანად გაუკლია ბენა გაიანე! რა მოეუხებრობო, სულ იქ ხომ ვერ დავჯდები?!

— ქალო, ერთი ორიოდ ძირი რაქწითელი მეც მიდგია ღობალოში და საფრთხობღელი მაქვს გაკეთებული. ჩიტები ახლოსაც ვეღარ

ეკარებიახ, აღამიანი ჰგონიათ. ძველი ტანისა-შოსი გექნება და სარზე ჩამოაცვი.

— მაგას საღამოზე მართლა გაეკეთებ, — უთხრა მაიკომ, აკაპწებული კალთა ჩამოუშვა და თავშალი ბექებზე დაიფინა. ეტყობოდა წყაროზე აპირებდა წასვლას.

— მაიკო, ფქვილის სასესებლოდ ვიყავი მოსული და ამ ლაპარაკში სულ ვაღამაფიწყდა. ერთი ქოთანს ფქვილი მასესხე, საღამოზე ჩვენებიც ქე ამეიტანენ წისქვილიდან და მაშინვე გაგისტუმრებ, — შეაჩერა გაიანემ.

ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ქიშკარში გავიდნენ. მაიკოს ჩაფულა ჰქონდა შხარზე შემოდგმული, გაიანეს კი თეთრი სიმინდის ფქვილით გატენილი ქოთანს ეჭირა ხელში.

3

თამაზი ყურადღებებილი უსმენდა გაიანეს ლაპარაკს. ვადაწყვიტა ჩიტების საფრთხობღელი თვითონ გაეკეთებია და ჩიტებთან ერთად ბებიაც დაეფრთხო. როცა ბებია წყაროზე წასული დაიგულა, პატარა სათამაშო სახლის შენებას თავი მიანება და სხვენზე აცოცდა. იქ ბაბუა სპირიდონის ძველი ჩოხა, შარვალი და ძველი ქუდი მონახა. გამხმარი სიმინდის უღვაშებიც შეაგროვა და ვენახს მიაშურა.

4

მაიკო წყნარად რომ დაბრუნდა, ისე იყო გართული ოჯახურ საქმეებში, რომ თამაზი კარგახანს აღარც კი მოჰგანებია.

— საღ დაძვრები, ბებია გენაცვალოს, მკვახე ყურძენი არა ჰამო, თორემ მუცელს ვაგინენს! — მიძახა მან თამაზს, როცა იგი ვენახიდან ამოძვრა.

— ყურძენი კი არა, ქყინტი სიმინდი მინ-
დოდა მომეტანა, ჩემო ბებო, მაგრამ სულ გამ-
ხმარა, — იცრუა თამაზმა.

5

სადილობა მოატანა. მაიკომ მკადები გამო-
აცხო, შევამანდი შეკახმა და შვილიშვილს მი-
უბრუნდა:

— თაზო, წამოდი, ბაბუას სადილი წაუ-
ლოთ.

თამაზოს გაეხარდა. იცოდა ბაბუა სპირი-
დონი ტყეს ჭრიდა ვენახის ბოლოზე და იქ რომ
ჩასულიყვნენ, ვენახზე უნდა ჩაევილოთ, იქ ბე-
ბიამისი უსათუოდ მოტყუვდებოდა, ისეთი საფრ-
თხობელა მოაწყო თამაზმა. ჩაიცინა ეშმაკურად
და მაიკოს უკან გაჰყვა.

შუა ვენახში რომ ჩავიდნენ, თამაზმა კაბის
კალთაში მოსწია ბებიას.

— ბებო, დაბრუნდი, ხედავ? ბაბუა შინის-
კენ მოდის.

— უიმე! — წამოიძახა მაიკომ. მარჯვენა
ხელით თვალი მოიჩრდილა, ვენახის ბოლოსაკენ
გაიხედა. შუა ჩოხას მოჰკრა თვალი და მიაძახა:

— კაცო, სადილი მე შენთან მომაქვს და
შენ შინ მოხვალ?!
ჩოხიანი ხმას არ იღებდა. ან კი რით გაი-
ლებდა ხმას, ეს თამაზის მიერ მოწყობილი
საფრთხოებელა იყო და არა ბაბუა სპირიდონი.

— გემდურის ბებო, სადილი რატომ დამი-
გვიანეო, ხმას აღარ გცემს, — უთხრა ეშმაკმა
თამაზმა.

— დამიგვიანდა შვილო, ათასი საქმე მაქვს,
ან ერთს ვერ გაეხდი ან მეორეს! — მერე ისევ
საფრთხოებელას გადახედა და განციფრებით წა-
მოიძახა:

— რა ვქნა! ეს ვილაკ სხვა არის, რატომ არ
ინძრევა?!
— თამაზმა სიცილი ველარ შეიმაგრა.

— თამაზმა სიცილი ველარ შეიმაგრა.



— წამოდი, ბებო, ახლოს ჩავიდეთ და შე
გარიგებთ, თორემ ჯოხს გესვრის, ხომ უყურებ
ხელში რომ უჭირავს.

6

მაიკომ საფრთხოებელა მხოლოდ მაშინ იცნო,
როდესაც ათიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა.

— ვაი, შენ არ მომიკვდი, შე კინკა, ქე არ
დამაფეთე შვილო! ჩიტები რაველა გაბედავენ
აქ მოსვლას, როცა მეც აღამიანი მეგონა.

თამაზს საფრთხოებელა მართლაც ისე გაეკე-
თებია, რომ მოხუცი კაცისაგან ძნელი გასარ-
ჩევი იყო.

ბებია და შვილიშვილი სიცილით ჩასცილ-
დნენ ვენახს. სადილობისას თამაზის ეშმაკმა
სპირიდონსაც უამბეს.

გაიანეს რჩევამ და თამაზის ოსტატობამ
გაჭრა, მეორე დღით მაიკოს აღარ დასქირე-
ბია ვენახში ფხვიერი მიწის სროლა და „ჰაუ-
ჰაუს“ ძახილი. ფრინველები ველარ ეკარებოდნენ
ყურძენს.

ზიორგი კალანდაძე



ჩამდენი ვარსკვლავია ცაში?

ვარსკვლავი ძალიან ბევრია, მაგრამ ჩვენ ყველა ვარსკვლავს ვერ ვხედავთ. მოწმენდილ ღამეს, როდესაც ცაზე ღრუბლები არ არის, შეიძლება დაინახოთ ორიათას ხუთას ვარსკვლავამდის. თუ ტელესკოპით შევხედავთ, მაშინ ვაცილებით უფრო მეტს დავინახავთ. ტელესკოპი არის უზარმაზარი ღურბინდი, რომელსაც გამადიდებელი შუშები აქვს; ტელესკოპით ათვლიერებენ თვლით უზინარ ვარსკვლავებსაც. რაც უფრო ძლიერია ტელესკოპი, მით უფრო მეტ ვარსკვლავს დავინახავთ. ამერიკაში აქვთ ყველაზე ძლიერი ტელესკოპი, რომელიც გვიჩვენებს ათას მილიონ ვარსკვლავს. ყველა ვარსკვლავის დათვლა შეუძლებელია, იმდენი ვარსკვლავია ცაში.

ჩატომ ანათებენ ვარსკვლავები?

მზე იმიტომ არის კაშკაშა, რომ ის წარმოადგენს გავრვარებულ ცეცხლის ბურთოს. ვარსკვლავები იმიტომ ანათებს, რომ ისინიც ისეთივე გავრვარებული ბურთოებია, როგორც მზე. მაგრამ ვარსკვლავები ჩვენგან ძალიან შორსაა, ამიტომაც ასე პატარები ჩანან.

მზის გარშემო ბრუნავენ პლანეტები, მათ შორის ჩვენი დედამიწაც. ზოგიერთი ვარსკვლავების გარშემოც ბრუნავენ იქეთივე პლანეტები, როგორც ჩვენი დედამიწაა. ამ პლანეტებზე ალბათ ცხოვრობენ ცოცხალი არსებანი და იმათ უნათებს მათი მზე, რომელიც ჩვენ პატარა ვარსკვლავად გვეჩვენება.

რა უფრო დიდია — მზე თუ ვარსკვლავები?

აქვენ ალბათ იტყვიან: რასაკვირველია, მზე უფრო დიდიაო. მაგრამ ეს ასე არ არის. მართალია, არის მზეზე უფრო პატარა ვარსკვლავებიც, მაგრამ ზოგიერთ ვარსკვლავთან შედარებით მზე პაწაწინა ბურთია.

ერთი ვარსკვლავი, რომელსაც ანტარესი ვია, იშველია, რომ ასი მილიონი მზე გამოვა

იმაში. ჩვენი მზის ადგილას რომ გვსტუმრობდა ასეთი ვარსკვლავთაგანი, ჩვენ დედამიწას ერთ წუთას დაწვავს მისი სხივები. ეს ხომ იგივე იქნებოდა, ასი მილიონი მზე რომ ერთად ანათებდეს.

ჩატომ ანათებენ პლანეტები?

ყველა პლანეტა, როგორც ჩვენი პლანეტა დედამიწა, ბნელი ბურთოებია. ისინი, როგორც ჩვენი დედამიწა, მზის ირგვლივ ბრუნავენ. მათ არა აქვთ თავისი სინათლე. პლანეტები აირეკლავენ მზის სხივებს, და ამიტომ გვეჩვენება ისინი ბრწყინვალე ვარსკვლავებად. პლანეტები უფრო ახლია ჩვენგან, ვიდრე ვარსკვლავები. ყველაზე უფრო ახლია მთვარე, რომელიც ანარეკლი მზის სინათლით ანათებს. მთვარეზე არ არის ჰაერი და არც სიცოცხლეც. პლანეტა მარსზე არის ჰაერი, მაგრამ ისეთი, როგორც დედამიწაზე ძალიან მალაღმთებზე. მარსზე უფრო ცივა, ვიდრე დედამიწაზე, იქ წყალი და მცენარეულობა ცოტაა. ალბათ მარსზე ცხოვრობენ ცოცხალი არსებები, რომლებიც შეგვუნ მარსის მკაცრ ბუნებას.

ჩამდენი კილომეტრია დედამიწიდან ვარსკვლავებამდის?

ჩვენგან ისე შორსაა ვარსკვლავები, რომ მანძილის გამოთვლა კილომეტრობით არც ღირს: ყველაზე მახლობელ ვარსკვლავამდის თითქმის ათი ტრილიონი კილომეტრია.

ამ მანძილის გავლა ჩქარ მატარებელს შეუძლია მხოლოდ 46 მილიონ წელიწადში. ისეთი ვარსკვლავებიც არის, რომლებს სინათლე ჩვენამდის მოდის ჩამდენიმე ასეული მილიონი წლის შემდეგ. ჩვენ რომ ახლა ვარსკვლავებს ვხედავთ, შეიძლება ზოგიერთი მათგანი ბევრი-ბევრი-ბევრი წლის წინათ ჩაქრა, მის სინათლეს კი ახლაც ვხედავთ.



ილუსტრაცია ამოღებულია ლავრა ჰიჭინაძის წიგნიდან „უარმაზი“ მხატვარი მ. თარხვილი
წიგნს სვეს სახელგამის ახალგაზრდობის და საბავშვო სმებრკი.

ვაჟა - ფშაველას სილამო

29 ოქტომბერს ჯაფარიძის სახელობის საც-
დელ-სანიმუშო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფი-
ლებაში გამართა ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების
მოსაგონარი ოციწლის სილამო. სილამოს დაე-
სწრენ მასწავლებელნი, დიდალი მოწაფეობა,
პიონერები და ოქტომბრელები.

სილამოზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეუ-
ლი იყვნენ საბავშვო მწერლები: ან. ლენიაშვი-
ლი, გ. კახიძე, ნ. ნაკაშიძე, რ. ქორქია ს.
მთვარაძე, ლავრ. ჰიჭინაძე, ლ. გეგეჭკორი, მ.
ებრალიძე და სხვები.

სილამო გახსნა თავისი შესავალი სიტყვით
ბიბლიოთეკის დირექტორმა ამხ. შ. ასათიანმა.
ამის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ.

ან. ლენიაშვილი — „ვაჟა - ფშაველა როგორც
საბავშვო მწერალი“. მოხსენება ძალიან საინტე-
რესოდ იყო დამუშავებული და დარბაზი დიდი
ყურადღებით უსმენდა. შემდეგ სიტყვით გამო-
ვიდა ლავრ. ჰიჭინაძე, რომელმაც აღნიშნა,
რომ ვაჟა ღირსეულად დააფასა მხოლოდ საბ-
ქოთა ხელისუფლებამ.

ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პო-
ეტმა გიორგი კახიძემ. მას დიდი აღტაცებით
შეხედენ მსმენელები. ლექსი წაიკითხა აგრეთვე
მ. ებრალიძემ და შემდეგ ბავშვებმა.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას სურვილი
აქვს ხშირად მოაწყოს მწერლებისა და ბავშვების
შეხვედრა.





როდღაც ქორაქია — „საბჭოთა საქართველო“

სიფელს

მოთხრობის კრებული „სამი ბიჭის ამბავი“ მე ძალიან მომეწონა. კარგად არის აღწერილი თუ როგორ გაიპარა მოჩუბბარი კოლა ფრონტზე, როგორ ნახა არტემამ დედისა და მამის საფლავი და როგორ გაიყვანა ეტლი კაუჭამ წყალში.

ჩემი აზრით ამ წიგნს რომ „მანუბარა კოლა“ ჰქონოდა სათაურად უფრო კარგი იქნებოდა, რადგან მას მოჩუბბარს ეძახოდნენ და მოქმედებითაც ის მოქმედებს ყველაზე მეტს. იმ ალაგს, სადაც აღწერილია თუ როგორ მოიპარეს ბიჭებმა პური, არტემას ადგილზე თომა რომ ყოფილიყო უფრო კარგი გამოვიდოდა, რადგან თომა უფრო ღონიერია არტემაზე და უფრო ბევრ პურს აიღებდა.

კუჩარი სუფსიხიკილი
(მე-მნ სიუჟელო სკ. VI-კლ. მოწ.)

აყვავილი ჩემო სოფელო
მაგ შენს მიღამო მთებითა,
ახალგაზრდული მშვენიებით
მოვდივართ შენთან ჯარენითა.
ახლა უკვე ზაფხულია
გვიხარია ყველას ვიცი!
სახეტე ფერი დაგველო
რალად უნდა ამის ფიცი.
აჰა, მწყემსებმაც დაუკრეს
ტკილი ხმით საღამურია
და აყვავებულ ველ-მინდორს
ხმა გარს მოედო საამურია.
აყვავილი ჩემო სოფელო
მაგ შენს მიღამო მთებითა,
ჩვენც მხიარული სიცილით
მოვდივართ შენთან ფრენითა.

თემიან დედისხილი
ნ-კლ. მოწაფე

ბიორგი კაპახიძე, — „საბჭოთა საქართველო“

ბედნიერია ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა. ამ თავისუფალ ქვეყანაში უხვად იზრდება: ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, ფიზიკოსები, აერონომები და სხვა. მრავალი სპეციალისტები. გიორგი კაპახიძეც ამ ბედნიერი თაობის რიგში დგას. მისი ლექსების კრებული „მხიარული მშვენიერება“ წაეკითხე, დაერწმუნდი რომ გიორგი კაპახიძეს ზედმეტი შესწავლილი აქვს ბავშვის ბუნება. იგი თავის ერთ ლექსში, ამბობს:

„მე თქვენ გიცნობთ, კარგად გიცნობთ,
ვიცი თქვენი ფიჭი, ენა...
მეც ჰქონია თქვენი გული,
მეც ვყოფილვარ თქვენოდნა.“

და მართლაც მის ლექსებშიც სწორედ ბავშვთა ფიჭი და მოვალეობაა აღწერილი. ის თავის ლექსების საშუალებით გაღმოგვცემს მოზარდთა ყოფა-ცხოვრებას და ფრიადოსან მოსწავლეთა სახეს; ხოლო ზარმაცებს არცხვენს და მოუწოდებს სწავლისაკენ. მშვენიერია გ. კაპახიძის ლექსები, სიამოვნებით ვკითხულობთ მის ნაწერებს.

ნ. ბალიაშვილი.
(მე-VIII კლ. მოწ.)





ლ. კვიციანი მოთხრობის წიგნი „ისლიანი სახლები“ ეხება სოფლის ცხოვრებას. იქ აღწერილია თუ როგორი იყო წინათ გლეხის ცხოვრება და როგორია ახლა.

გლეხის მდგომარეობა წინათ რომ აუტანელი იყო, ეს ჩანს მოთხრობა „ისლიანი სახლებიდან“. ამ მოთხრობაში სწერია:

„კაცია ჯერ ისევე კალიონს აბოლებდა, უცებ თოფის ხმა გაისმა და თანაც ძაღლის წკაველი აპყვა. კაცია წამოიჭრა ზეზე, ის იყო კიშკრისკენ აპირებდა გაქცევას, მაგრამ შეიარაღებული პოლიციელები თვალწინ აესვენტენ. ზოგმა რევოლვერი დაუმინა, ზოგმა თოფის თათი უთავაზო და ზოგმაც დორბლმორცული ცხენი მიაგდო საცოდავ მოხუცზე“.

ამ მოთხრობაში ნათლად ჩანს, რომ პოლიციელები გლეხებს აწამებდნენ. ავიღოთ მეორე მოთხრობა „ელიაზარის წერილი“. აქ აღწერილია ჩვენი სოფლის გლეხის მდგომარეობა, თუ როგორ მიდის მისი ცხოვრება წინ. უწინ თუ გლეხს არ აქცევდნენ უურადლებას და მას უბრალო ნივთს ადარებდნენ ახლა კი კოლმეურენ გლეხმა ელიაზარმა წერილიც კი დასწერა და გაზეთში დაუბეჭდეს. ასე წავიდა წინ გლეხის ცხოვრება.

შე ლ. კვიციანის მოთხრობებმა ძალიან დაზინტერესა და გულდასმით წავიკითხე ეს წიგნი.

გაიოზ ვადაშვილი

(აბს. სტალინის საბ. I საც. საშ. VI-კლ. მოწ.)

ვეველი

იქ, ლამაზ ყვავილებში
გაჩნდა ნაზი პეპელა
ყვავილებს თავს ევლებდა
მზრუნველობით ნელ-ნელა.
ხან ერთს მიუალერსებს,
ხან მეორეს, მესამეს...
ტყებმა ყვავილის სუნით
და გულში გრძობს სიამეს.
უხარია, ყვავილი
მის ახლო იმყოფება,
როცა უნდა, მას მაშინ,
ყნოსავს, გარს ეხვევა.
წვიმის შესაფერიც აქვს
ზამბახისა ფოთლები,
მაგრამ ზამბახის გარდა
ყავს კიდევ მეგობრები.

ხიდი


აი რა ლამაზია
ჩელუსკინის ხიდი
აღტაცებაში მოდის
პატარა და ღიდი.

მაშ კული იქნება
ჩელუსკინის ხიდი?
უხარია ყველას
ფართოა და ღიდი.

აი რა ლამაზია
ჩელუსკინის ხიდი
აღტაცებაში მოდის
პატარა და ღიდი.

გურამ მახტაძე

მე-14 შრ. სკ. III კლ. მოწაფე.



ვაშა კვაჭაძე
ტფ. მე-36 სკ. მე-6 კლ. მოწ.

1

ფრთებს ქვეშ ქოლგას თოკები აქვს,
ზევით იწევეს დაბლა წევენ,
ხელებს მაშინ გაუშვებენ,
როცა მიწას მიაღწევენ.

2.

ცალითვალა ვარ, ორთვალაზე
მილიონჯერ უფრო ვხედავ,

ხან განიდან შემოგიკვრეტო,
ხან ზემოდან გადმოგხედავო,
ჩემი თვალი ყველგან მიდის,
ჩემი თვალი ყველას სწვდება,
ჯანსაღობის საუნჯე ვარ,
ვინც ვაიგებს და მიხედება.

მელია სიხარულით

გასართობი ასანთზე

17 ცალი ასანთისაგან შედგენილია 6 კვადრატი.
რომელი 3 ცალი ასანთი უნდა გამოვაცალოთ ამ ფი-
გურას, რომ დარჩეს 4 კვადრატი.
ახსნა შეიძლება ოთხნაირად.

ქმ. თევზაძე

შეხვედრის გასწორება

ჭურ. „ოქტომბრელის“ № 10 მიმჭრალის ლექსში „სოფლოური“
მეორე სვეტში ბოლოდან მე-6 სტრიქონი „ბაღღების და ბე-
ბიების“ მაგივრად უნდა იყოს ბაღღების და ბებიების“.

წიგნი 75 პეპ.

5-56
საქართველოს
საბჭოთაო
კულტურის
მინისტროს
ბიბლიოთეკის
ნომერი



О К Т О М Б Р Е Л И

Г о с и з д а т Г р у з н и

Т и ф л и с 1 9 3 5 г .